



მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის



KA000040822517619

№ ს-506

13 / მარტი / 2019 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სამედიცინო და სოციალურ საკითხთა კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის და "მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 8 თებერვლის N8 დადგენილების 6-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1. შეიქმნას სამედიცინო და სოციალურ საკითხთა კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) კომისიის თავმჯდომარე - მარინა ზურაბიშვილი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

ბ) კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - ნინო ჭიჭინაძე - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

გ) კომისიის წევრები :

გ.ა.) ვასილ ბერუაშვილი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ჯანდაცვის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

გ.ბ) ვლადიმერ ხუბაშვილი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

გ.გ) ნინო ლაზვიაშვილი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური განყოფილების მე-3 რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

გ.დ) ნინო ჯავაშვილი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ჯანდაცვის განყოფილების მე-3 რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

გ.ე) მარეხი ტაკაშვილი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ჯანდაცვის განყოფილების მე-4 რანგის მე-2 კატეგორიის

უმცროსი სპეციალისტი.

გ.ვ) ილია ციციშვილი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

დ) კომისიის მდივანი ხმის უფლებით - სოფიო ბოჭორაძე - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, იურიდიული განყოფილების III რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

2. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებას მისი არყოფნის შემთხვევაში.

3. კომისია საქმიანობას ახორციელებს კომისიის სხდომების მეშვეობით. კომისიის სხდომა იმართება კვირაში ერთხელ ან საჭიროებისამებრ.

4. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები და კომისიის მდივანი.


5. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს და წარმოდგენილი დოკუმენტაციის კანონთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელი არიან მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალურ საკითხთა განყოფილება და ჯანდაცვის განყოფილება მათდამი დაქვემდებარებული საკითხების შესაბამისად.

6. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „სამედიცინო და სოციალურ საკითხთა კომისიის შექმნის შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 6 დეკემბრის №ს-755 ბრძანება.

7. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.მცხეთა, სამხედროს ქ.№17) კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

გიორგი კაპანაძე